



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური
სოციოლოგია, სადოქტორო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 06.06.2022-08.07.2022

დასკვნის წარდგენის თარიღი: 06.08.2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სოციოლოგია
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	სოციოლოგიის დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0314 სოციოლოგია და კულტურის კვლევები
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	60 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული; აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 30 სექტემბრის N93 გადაწყვეტილების შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ცხოვრებამე, შპს-შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკატერინე ფირცხალავა, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამა აკრედიტებულია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 30 სექტემბრის №93 გადაწყვეტილების შესაბამისად. სადოქტორო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, პროგრამა განახლდა 2021 წელს. არსებული პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს 60 კრედიტს, ამასთან, სავალდებულო 36 კრედიტი და არჩევითი - 24 კრედიტი, საიდანაც დოქტორანტი იღებს კურსებს თავისი კვლევითი ინტერესების გათვალისწინებით. პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა „სოციოლოგიის დოქტორი“.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური მკვლევარების მომზადება, რომლებიც შეძლებენ უახლეს მეთოდოლოგიებზე და მყარ თეორიულ ჩარჩოზე დაფუძნებული ინოვაციური კვლევების განხორციელებას სოციოლოგიის ერთ-ერთ სფეროში (პოლიტიკის სოციოლოგია, რელიგიის სოციოლოგია, კულტურის სოციოლოგია, ურბანული სოციოლოგია, მეცნიერების სოციოლოგია, ყოველდღიურობის სოციოლოგია, ღირებულებების კვლევები, იდენტობის კვლევები); კადრების მომზადება წარმატებული კარიერისთვის აკადემიურ სივრცეში და მის ფარგლებს გარეთ; ცოდნის გაზიარება საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისთვის პუბლიკაციების მეშვეობით.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

„აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "სოციოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის ბრძანების (MES 4 22 0000602421, 06/06/2022) საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგი „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით. ექსპერტთა ჯგუფს განსახილველად გადაეცა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები, სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, პროგრამის მიზნებისა და შედეგების რუკა, კურიკულუმის რუკა, პერსონალის პირადი საქმეები და პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურების შესახებ ინფორმაცია.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფმა ცენტრის შუამდგომლობით გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია ინსტიტუციიდან. პროგრამის შეფასება განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის შესწავლით. შეფასება განხორციელდა პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებაში.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

დოკუმენტაციის შესწავლისა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაციის განხილვის შედეგად, დადგინდა სტანდარტების შემდეგი შესაბამისობა:

- სტანდარტი 1: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- რეკომენდაციები

- 2.3. სასწავლო კურსი

მიზანშეწონილია სილაბუსებში სწავლის შედეგები ფორმულირდეს აწმყო დროში და აქტიური ზმნების გამოყენებით.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- კოლოკვიუმების სერია, რაც საშუალებას აძლევს დოქტორანტს მიიღოს უკუკავშირი რამდენჯერმე სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით უნივერსიტეტის სამეცნიერო ელიტისგან (სხვა დოქტორანტები, დარგობრივი კომისია, პროფესორები), ასევე დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული პირებისგან.

- ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაზე.

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესაბამისად, ინსტიტუცია იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას 2.3 კომპონენტთან მიმართებით. დანართის სახით უსდ-მ ასევე წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელებული გარკვეული ცვლილებები, რათა სილაბუსებით განსაზღვრული სწავლის შედეგები ყოფილიყო მეტად გაზომვადი და შესაბამისად ფორმულირებული.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესში არ შეცვლილა მისანიჭებელი კვალიფიკაცია, თუმცა შეიცვალა პროგრამის სახელწოდება. 2011 წელს აკრედიტებული პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია გახლდათ სოციოლოგიის დოქტორი, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამა. სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამა დაიშალა ცალკეულ პროგრამებად და დაკონკრეტდა სადოქტორო პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები. მეტად აისახა სოციოლოგიის სფეროსთან და სადოქტორო საფეხურზე სწავლებასთან დაკავშირებული სპეციფიკა, ხოლო პროგრამის სახელწოდება ჩამოყალიბდა სწავლის სფეროს შესაბამისად, რომელიც ასევე შესაბამისობაშია პროგრამით განსაზღვრულ მიზნებთან.

სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამის მიზანებია:

- მაღალკვალიფიციური მკვლევარების მომზადება, რომლებიც შეძლებენ უახლეს მეთოდოლოგიებზე და მყარ თეორიულ ჩარჩოზე დაფუძნებული ინოვაციური კვლევების განხორციელებას სოციოლოგიის ერთ-ერთ სფეროში (პოლიტიკის სოციოლოგია, რელიგიის სოციოლოგია, კულტურის სოციოლოგია, ურბანული სოციოლოგია, მეცნიერების სოციოლოგია, ყოველდღიურობის სოციოლოგია, ღირებულებების კვლევები, იდენტობის კვლევები);
- კადრების მომზადება წარმატებული კარიერისთვის აკადემიურ სივრცეში და მის ფარგლებს გარეთ;
- ცოდნის გაზიარება საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისთვის პუბლიკაციების მეშვეობით.

წარმოდგენილი პროგრამის მიზნები შეესაბამება პროგრამის დასახელებას და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, ამასთან, ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. ასევე, ასახავს, პროგრამის სპეციფიკას და კურსდამთავრებულთა კომპეტენციებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

<ul style="list-style-type: none"> • სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში“; • სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამა; • სილაბუსები.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესში, პროგრამის სწავლის შედეგები დაკონკრეტდა და მეტად აისახა სოციოლოგიის სფეროს სპეციფიკა და განისაზღვრა კვლევის სფეროები - კულტურის სოციოლოგია, რელიგიის სოციოლოგია, ძალაუფლების სოციოლოგია, გენდერის სოციოლოგია, ურბანული სოციოლოგია, საჯარო სივრცის სოციოლოგია, პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციები, ტრანსფორმაციების სოციო-კულტურული განზომილებები, სოციალური შეჭიდულობა, სოციალური სტრატეგიკაცია, ეთნიკური და ეროვნული იდენტობები, წარსულისა და მეხსიერების კვლევები. წარმოდგენილი პროგრამის შედეგები შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას, არის მიღწევადი და რეალისტური და აღწერს პროგრამის შესწავლის შედეგად მიღებულ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობებსა და ავტონომიურობას.

დანართის სახით წარმოდგენილი კომპეტენციების რუკა ასახავს სწავლის შედეგების მიღწევის ინფორმაციას, ასევე წარმოდგენილია სამიზნე ნიშნულებისა და მიზნების რუკა, იმ კომპეტენციებისა და უნარების მითითებით, რომელთა განვითარებასაც ემსახურება პროგრამის თითოეული კომპონენტი. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი ხელს უწყობს დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის სათანადო ხარისხით განხორციელებას ტრანსფერული უნარების განვითარების გზით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში“;
- სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამა;
- სილაბუსები;
- კომპეტენციების რუკა;
- პროგრამის მიზნების რუკა;
- სწავლის შედეგების შეფასების ფორმა.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა

აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

o

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობები უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და კომპეტენციების მქონე კანდიდატების მიღებას და სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს, სწავლის შედეგებსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობებია:

1. მაგისტრის აკადემიური ხარისხი შემდეგ სფეროებში:

სოციალური და ქცევითი მეცნიერებები (ეკონომიკა - 0311, პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები - 0312, ფსიქოლოგია - 0313, სოციოლოგია და კულტურის კვლევები - 0314, სოციალური და ქცევითი მეცნიერებები - არაკლასიფიცირებული - 0319); მედიის კვლევები (0321.2.1); ინტერდისციპლინური – მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკას, ინფორმაციის მართვას (0388); სოციალური მუშაობა და კონსულტაცია (0923); განათლების მეცნიერებები (0111); ინტერდისციპლინური, მოიცავს განათლებას (0188); რელიგია და თეოლოგია (0221); ფილოსოფია და ეთიკა (0223); თავისუფალი მეცნიერებები (0288.1.1); საჯარო მმართველობა (0413.1.3); განათლების მენეჯმენტი (0413.2.6); განათლების ადმინისტრირება (0413.2.18); სოციალური კეთილდღეობა - არაკლასიფიცირებული (0929).

2. წარმატებით ჩაბარებული შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა ინგლისური ენის ცოდნის დადასტურებით მინიმუმ B2 დონეზე ან ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (მინიმუმ B2 დონის შესაბამისი);

3. სადოქტორო კვლევითი განაცხადი;

4. ზეპირი გამოცდა.

შესაბამისად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანია და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. წინაპირობები ასევე განთავსებულია უსდ-ს ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში“;
- სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამა;
- მიღების დოკუმენტები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.iliauni.edu.ge (დეტალური ინფორმაცია პროგრამაზე მიღების პირობების და კრიტერიუმების შესახებ მოცემულია დოკუმენტში „სადოქტორო პროგრამაზე მიღების პროცედურები და შეფასების სისტემა“).

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ირკვევა რომ პროგრამის სტრუქტურამ განიცადა გარკვეული მოდიფიცირება, კერძოდ კვლევის პროგრესისა და თანმიმდევრული უკუკავშირის მიღების მიზნით, დამატებულია კოლოკვიუმების სერია, რაც წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკას.

პროგრამის განახლებული სტრუქტურის მიხედვით, გათვალისწინებულია 60 კრედიტის დაგროვება სასწავლო კომპონენტების ფარგლებში, მათ შორის 36 სავალდებულო და 24 არჩევითი კრედიტი, საიდანაც დოქტორანტი იღებს კურსებს თავისი კვლევითი ინტერესების გათვალისწინებით. პროგრამა მოიცავს: სადოქტორო სემინარებს; ასისტირებას; საერთაშორისო რეფერირებად გამოცემაში პუბლიკაციის გამოქვეყნება. დოქტორანტის კვლევის პროგრესზე უკეთ დაკვირვებისა და მისთვის თანმიმდევრული უკუკავშირის მიღების მიზნით, პროგრამის სტრუქტურაში დამატებულია კოლოკვიუმების სერია. სადოქტორო პროგრამა სრულდება სადისერტაციო ნაშრომის წარდგენით და მისი

საჯარო დაცვით. შესაბამისად, პროგრამის სტრუქტურა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამა მოიცავს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამის სავალდებულო სასწავლო კურსებს/საგნებს/მოდულებს და თავისუფალ კომპონენტს. ორივე კომპონენტი წარმოდგენილია სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სახით. არჩევითი სასწავლო კურსების ოდენობა იძლევა არჩევანის შესაძლებლობას კვლევითი ინტერესების გათვალისწინებას.

სადოქტორო სემინარების ფარგლებში, პირველი წლის განმავლობაში დოქტორანტები ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან ერთად მუშაობენ პროსპექტუსზე. პროსპექტუსი მუშავდება სადოქტორო პროგრამაზე მიღებისას წარდგენილი სადოქტორო კვლევითი განაცხადის საფუძველზე. დასრულებულ პროსპექტუსს დოქტორანტი იცავს დარგობრივი კომისიის წინაშე სწავლების პირველი წლის ბოლოს.

ასისტირება არის სადოქტორო პროგრამის ის კომპონენტი, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტის ჩართულობას სწავლებასა და კვლევასთან დაკავშირებულ აკადემიურ პროცესებში. სწავლების ასისტირების შემთხვევაში დოქტორანტი აკადემიური კურსის პროფესორს უწევს ასისტირებას, დამოუკიდებლად ახორციელებს აკადემიური კურსის კომპონენტს და ატარებს სალექციო/სასემინარო კურსს ან უწევს ტუტორობას. კვლევის ასისტირების დროს დოქტორანტს აქვს შესაძლებლობა, ჩაერთოს უნივერსიტეტში მიმდინარე კვლევით პროცესებში და აქ განახორციელოს ასისტირება.

სადოქტორო პროგრამის აუცილებელი პირობაა **საერთაშორისო რეფერირებად გამოცემაში პუბლიკაციის გამოქვეყნება**. კერძოდ, დოქტორანტს დისერტაციის დაცვამდე მოეთხოვება შესაბამის სფეროში მინიმუმ ერთი სამეცნიერო პუბლიკაცია საერთაშორისო რეცენზირებად თემატურ ჟურნალში.

სადოქტორო კოლოკვიუმების სერია უზრუნველყოფს კვლევითი პროცესის სისტემატიზაციას და მის შედეგზე ორიენტირებულობას. მისი მიზანია კვლევასთან დაკავშირებული ავტონომიურობისა და კომუნიკაციის უნარების განვითარება. დოქტორანტმა უნდა შეასრულოს სემესტრში მინიმუმ ერთი კოლოკვიუმი. სადოქტორო კოლოკვიუმის ფარგლებში. კოლოკვიუმები ემსახურება თანმიმდევრული უკუკავშირის მიღებას კვლევის პროცესში.

სადოქტორო პროგრამა სრულდება **სადისერტაციო ნაშრომის** წარდგენით და მისი საჯარო დაცვით. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა ხდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული სადისერტაციო საბჭოს წინაშე.

ამრიგად, პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ

<p>თვითშეფასების ანგარიში“;</p> <ul style="list-style-type: none"> • სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამა; • სასწავლო კურსების სილაბუსები; • სადისერტაციო ნაშრომის კონცეფცია; • ასისტირების კონცეფცია; • მიზნების და სწავლის შედეგების რუკა; • კომპეტენციების რუკა; • სამიზნე ნიშნულები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> • კოლოკვიუმების სერია, რაც საშუალებას აძლევს დოქტორანტს მიიღოს უკუკავშირი რამდენჯერმე სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით უნივერსიტეტის სამეცნიერო ელიტისგან (სხვა დოქტორანტები, დარგობრივი კომისია, პროფესორები), ასევე დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული პირებისგან.
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>ი გოთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო

კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;

- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამაში სასწავლო კომპონენტის კრედიტები გადანაწილებულია შემდეგი სახით: **სავალდებულო კომპონენტები - 36 კრედიტი** (სადოქტორო სემინარი 1 ; სადოქტორო სემინარი 2; თანამედროვე სოციოლოგიური თეორია და კვლევა; ასისტირება; Writing for Academic Publication; კურიკულუმის განვითარება და სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში - 6 -6 კრედიტით). **არჩევითი კომპონენტი - 24 კრედიტი** (თვისებრივი მონაცემების ანალიზის მეთოდები და მათი გამოყენება NVivo-ში; დისკურსის კრიტიკული ანალიზი; ცხოვრების მოთხრობა სოციალური რეალობის გასაგებად - ბიოგრაფიულ-ნარატიული მეთოდი სოციალურ მეცნიერებაში; სტატისტიკური მოდელირება; რელიგია მოდერნულ და დიგიტალურ საზოგადოებაში; პოსტ-სოციალისტური ტრანსფორმაციის პოლიტ-ეკონომია; პოლიტიკის სოციოლოგია; ოჯახი, საზოგადოება, სახელმწიფო 6-6 კრედიტით, ექსპერიმენტული კვლევა; სტატისტიკური მოდელირება 3-3 კრედიტით, სემინარი მომიჯნავე დისციპლინაში/დარგობრივი სემინარი; ფიქრისა და კვლევის ანთროპოლოგიური მეთოდები 12-12 კრედიტით).

სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/ შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

თვითშეფასების დანართად წარმოდგენილ სილაბუსებში მითითებულ სწავლის შედეგებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგების ფარგლები მეტწილად რეალისტურია, თუმცა არ არის აწმყო დროში და აქტიური ზმნების გამოყენებით ფორმულირებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში“;
- სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამა;
- სასწავლო გეგმა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- მიზნების და სწავლის შედეგების რუკა;
- კომპეტენციების რუკა.

რეკომენდაციები:

<ul style="list-style-type: none"> • მიზანშეწონილია სილაბუსებში სწავლის შედეგები ფორმულირდეს აწმყო დროში და აქტიური ზმნების გამოყენებით.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია დარგში ახალი ცოდნის შექმნაზე და გულისხმობს დოქტორანტებისთვის ყველა იმ პირობის შექმნას, რაც საჭიროა ორიგინალური სამეცნიერო კვლევის აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით განხორციელებისთვის.</p> <p>ამ მიზანს ემსახურება კოლოკვიუმების სერია, რომლის ფარგლებშიც, დოქტორანტები თავიანთი კვლევის შედეგებს პერიოდულად წარმოადგენენ ფართო აუდიტორიის წინაშე (სხვა დოქტორანტები, დარგობრივი კომისია, პროფესორები, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული პირები) და იღებენ უკუკავშირს, რაც უზრუნველყოფს ნაკლოვანებების დროულ გამოვლინებასა და მათი აღმოფხვრისთვის საჭირო ღონისძიებების დროულად</p>

გატარებას.

პროგრამა ორიენტირებულია მკვლევრების ახალი თაობის მომზადებაზე, რომლებიც შეძლებენ კლასიკური თუ თანამედროვე სოციალური თეორიების გამოყენებას ქართული საზოგადოების ამჟამინდელი მდგომარეობის “დიაგნოსტიკისა” და ანალიზისთვის. სადოქტორო პროგრამა ორიენტირებულია, საერთაშორისო უნივერსიტეტებთან და დარგის წამყვან მეცნიერებთან თანამშრომლობით ხელი შეუწყოს დოქტორანტების ინტეგრაციას საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში (მენტორობა, თანახელმძღვანელობა), ასევე, საერთაშორისო სამეცნიერო კოლაბორაციის მიმართულებით დოქტორანტების კვლევითი შესაძლებლობების გაფართოვებას.

სადოქტორო პროგრამა ეფუძნება მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილებას (ოქსფორდის უნივერსიტეტი, ფრანკფურტის უნივერსიტეტი, ჰუმბოლტის უნივერსიტეტი, გოტინგენის უნივერსიტეტი). დარგში დაგროვილი საერთაშორისო გამოცდილებისა და ახალი ცოდნის გაზიარების მიზნით პროგრამის ფარგლებში შექმნილია საერთაშორისო ექსპერტთა საკონსულტაციო საბჭო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში“;
- სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამა;
- სასწავლო გეგმა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

მონიტორინგის ფარგლებში წარმოდგენილი სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად შემოწმდა სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენება სასწავლო კურსის შინაარსის, სპეციფიკის, ასევე მისაღწევი შედეგების უზრუნველყოფის შეფასების მიზნით. როგორც ირკვევა თვითშეფასების ანგარიშიდან და პროგრამის აღწერიდან, სასწავლო პროცესი ფოკუსირებულია სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლა-სწავლების მეთოდებზე.

დაწესებულების მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებულია სასწავლო პროცესში რიგი სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენება, მათ შორის ლექცია/სემინარი, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა. სწავლება - სწავლის მეთოდები მოიცავენ შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, შემთხვევის ანალიზი (Case study), “თეორიული სინთეზი” (თეორიული ესე), პრეზენტაცია, “თეორიული აპლიკაცია”, სიმულაცია, სუპერვიზია. წერიტი და ვერბალური, წიგნზე მუშაობა, ანალიზი, სინთეზი, ახსნა-განმარტებითი და სხვ. მეთოდები); სწავლების პროცესში შესაძლებელია ამა თუ იმ მეთოდისთვის პრიორიტეტის მინიჭება და მეთოდების კომბინირება. ხაზგასასმელია, რომ სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდის ან მეთოდთა კომბინაციის შერჩევა დამოკიდებულია ცალკეული სასწავლო კურსის სპეციფიკაზე, დასახულ მიზნებსა და სწავლის შედეგებზე. პროგრამის კომპონენტების სწავლებისას გამოყენებული მეთოდები მითითებულია შესაბამის სილაბუსებში.

